

საგრანტო კონკურსი: ეროვნული ინტეგრაციისა და შემწყნარებლობის პროგრამა საქართველოში

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი საქართველოში ეროვნული ინტეგრაციისა და შემწყნარებლობის პროგრამის ფარგლებში იწვევს თბილისის და რეგიონულ არასამთავრობო/არამომგებიან ორგანიზაციებს (მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ორგანიზაციებს), წარადგინონ საპროექტო წინადადებები “შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის” მიზნების განსახორციელებლად.

კონცეფცია და სამოქმედო გეგმა მთავრობამ 2009 წლის 8 მაისს მიიღო. აღნიშნულ დოკუმენტებში გაერთიანებულია მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების ხედვა ქართულ საზოგადოებაში ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის მისაღწევად ყველაზე ეფექტური სტრატეგიებისადმი, ასევე ქვეყანაში შემწყნარებლური გარემოს ჩამოყალიბების მიმართ. შემოთავაზებული პროგრამა კონცეფციის მისიას, ხედვას და პრიორიტეტებს დაეფუძნება და მასთან დაკავშირებული იქნება. მოსალოდნელია, რომ პროგრამები კონცეფციის და სამოქმედო გეგმის განხორციელებას და მონიტორინგს დაუჭერს მხარს. საგრანტო კონკურსში ასევე მიიღება ინოვაციური იდეები და შემოქმედებითი მიდგომები ინტეგრაციის პროცესების მხარდასაჭერად.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2009 წლის 17 აგვისტო, 17:00.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის საქართველოს ოფისი

მისამართი: საქართველო, თბილისი 0179, კავსადის ქ. #3.

ტელ/ფაქსი: (995 32) 25 39 42/43, 25 27 78/82

დეტალური ინფორმაცია კონკურსის პირობების შესახებ იხილეთ ფონდის ვებ-გვერდზე:

http://epfound.ge/index.php?article_id=165&clang=1

2009 წლის 1 ივლისს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი აცხადებს საგრანტო კონკურსს სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის შესაძენად.

კონკურსის მიზანია აამაღლოს საქართველოში სამეცნიერო კვლევების ხარისხი, გაზარდოს თანამედროვე აპარატურაზე სამეცნიერო ჯგუფების ხელმისაწვდომობა და ამით ხელი შეუწყოს ქვეყანაში სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურებას.

კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული იქნება კვლევის ხარისხის ამაღლებისათვის საჭირო სამეცნიერო აპარატურისა და კომპიუტერული პროგრამების შეძენა.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს, რომელთა სამართლებრივი სტატუსი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. კონკურსზე დაიშვება ჯგუფური განაცხადებიც.

დეტალური ინფორმაცია კონკურსის პირობების შესახებ იხილეთ ფონდის ვებ-გვერდზე:

<http://www.gnsf.ge/>

რუსთაველის ფონდი აცხადებს კონკურსს ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად 2010 წლისათვის.

დეტალური ინფორმაცია კონკურსის პირობების შესახებ იხილეთ ფონდის ვებ-გვერდზე:

<http://www.rustaveli.org.ge/>

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი 2009 წლის 1 ივლისს აცხადებს ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო კვლევითი სტაჟირებისათვის სამეცნიერო გრანტების კონკურსს.

დეტალური ინფორმაცია კონკურსის პირობების შესახებ იხილეთ ფონდის ვებ-გვერდზე:
<http://www.gnsf.ge/>

გამოცხადდა კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად.

დეტალური ინფორმაცია, კონკურსის პირობებისა და წარსადგენი ფორმების შესახებ იხილეთ სესფ-ის ვებ-გვერდზე: <http://www.gnsf.ge/>

ევროკავშირის კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარების მე-7 ჩარჩო პროგრამა აცხადებს საკონკურსო პროექტებზე განაცხადების მიღებას. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდები:

http://cordis.europa.eu/fp7/dc/index.cfm?fuseaction=UserSite.FP7DetailsCallPage&call_id=221

http://cordis.europa.eu/fp7/dc/index.cfm?fuseaction=UserSite.FP7ActivityCallsPage&id_activity=12

2009 წლის 1 ივნისს, აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი (CRDF), საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სესფ) და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ) აცხადებენ ბიზნეს პარტნიორობის საგრანტო კონკურსს.

პროგრამის მიზანია კომერციულ კომპანიებსა და მეცნიერთა ჯგუფებს შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ხელშეწყობა, ქვეყნის სინოვაციო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა და მეცნიერთა მჭიდრო კავშირის დამყარება წარმოებასთან.

პროგრამის ხანგრძლივობაა 12 თვე, ხოლო თითოეული გრანტის ოდენობა - არაუმეტეს 40 000 ლარისა. სამეწარმეო პირის მონაწილეობის სავალდებულო წილი ინდივიდუალურ პროექტში შეადგენს გრანტის თანხის მინიმუმ 15%-ს. ეს თანხა მთლიანად გამოყენებულ უნდა იქნეს მეცნიერთა (გრანტის მიმღებთა) ჯგუფის ხარჯებისათვის.

კონკურსთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია განთავსებულია სესფ-ის და სსგფ-ს ვებ-გვერდზე:
<http://sciencerd.tsu.ge/www.gnsf.ge> და <http://sciencerd.tsu.ge/www.grdf.ge>

პროექტების სსგფ-ში წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 17 აგვისტო.

UNESCO და L'OREAL-ის ერთობლივი სტიპენდია `ახალგაზრდა ქალები სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში - 2010`

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ სესფ-ის ვებ-გვერდზე <http://gnsf.ge/fulltext.asp?id=508&idcategory=1>

გამოცხადდა საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა (CNRS) და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პირველი ერთობლივი კონკურსი!

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ სესფ-ის ვებ გვერდზე: <http://www.gnsf.ge/fulltext.asp?id=490&idcategory=1>

რუსთაველის ფონდი აცხადებს 2009 წლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსს.

საკონკურსოდ შემოთავაზებულია შემდეგი სამეცნიერო მიმართულებები:

1. ქართველოლოგიის მეცნიერებები,
2. ჰუმანიტარული, სოციალური და ეკონომიკური მეცნიერებები.

კონკურსის მიზანია, დამოუკიდებელ ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტთა შეფასების საფუძველზე, გამოავლინოს და დააფინანსოს სამეცნიერო პროექტები და ამით წარმოაჩინოს და გააძლიეროს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი.

დაფინანსება განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებით.

2009 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია გაიაროთ ელექტრონული რეგისტრაცია რუსთაველის ფონდის ვებგვერდზე

საკონკურსო დოკუმენტაციის რუსთაველის ფონდში წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 7 მაისის 18:00 სთ. მიღება წარმოებს სამუშაო დღეებში მისამართზე: თბილისი, 0102, დიმიტრი უზნაძის ქუჩა №68, II სართული.

რუსთაველის ფონდში კონსულტაციები ჩატარდება 2009 წლის 31 მარტიდან 6 მაისამდე ყოველ ხუთშაბათს. კონსულტაციების დრო: 15.00-დან 17:00 სთ.-მდე.

დეტალური ინფორმაცია, კონკურსის პირობებისა და წარსადგენი ფორმების შესახებ იხილეთ ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი 2009 წლის 12 მარტს აცხადებს სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსს.

2009 წელს საკონკურსოდ შემოთავაზებულია შემდეგი სამეცნიერო მიმართულებები:

1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
3. მათემატიკა, მექანიკა
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
6. სამედიცინო მეცნიერებები;
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები;
8. აგრარული მეცნიერებები.

ღია საკონსულტაციო სემინარები.

საკონკურსო პირობების გაცნობისა და კონსულტაციების მიზნით საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ჩაატარებს საკონსულტაციო სემინარებს თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში.

ვადები:

ყურადღება! პროექტის საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს 2009 წლის 1 აპრილიდან 24 აპრილის ჩათვლით 18:00 საათამდე. დისტანციურად (ელექტრონულად) დარეგისტრირებული პროექტების საკონკურსო დოკუმენტაციის ფონდში წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 30 აპრილი 18:00 საათამდე. პროექტების ელექტრონულად დარეგისტრირება შესაძლებელი იქნება მიმდინარე წლის 6 აპრილიდან 24 აპრილის 18.00 საათის ჩათვლით.

დეტალური ინფორმაცია, კონკურსის პირობებისა და წარსადგენი ფორმების შესახებ იხილეთ ფონდის ვებ-გვერდზე: <http://www.gnsf.ge/>

შვეიცარიის ეროვნული სამეცნიერო ფონდი აცხადებს პროგრამას: “სამეცნიერო თანამშრომლობა აღმოსავლეთ ევროპასა და შვეიცარიას შორის SCOPES 2009-2012”

შვეიცარიის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა (SNSF) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტომ (SDC) დაიწყეს პროგრამის “სამეცნიერო თანამშრომლობა აღმოსავლეთ ევროპასა და შვეიცარიას შორის SCOPES 2009-2012” ახალი ეტაპის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც გამოცხადდა კონკურსი 2008 წლის 15 დეკემბერს.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს მეცნიერებს და სამეცნიერო ორგანიზაციებს.

კონკურსზე საპროექტო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 15 აპრილი.

დეტალურ ინფორმაციას პროგრამის შესახებ და კონკურსზე საპროექტო წინადადებების წარდგენის პირობებს შეგიძლიათ გაეცნოთ შვეიცარიის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებ გვერდზე: <http://www.snf.ch/E/international/abroad/scopes/Pages/default.aspx>

კონკურსი ჰერბერტ ჯასპერის პოსტდოქტორულ კვლევით პოზიციაზე ნეირომეცნიერებაში

ბოლო ვადა: 2009 წლის 30 იანვარი

ჰერბერტ ჯასპერის პოსტდოქტორული კვლევითი პოზიცია ნეირომეცნიერებაში, აპლიკანტს საშუალებას აძლევს განახორციელოს პოსტდოქტორული სამეცნიერო კვლევა მონრეალის უნივერსიტეტის “Groupe de recherche sur le systeme nerveux central” ჯგუფის რომელიმე მკვლევართან. წლიური სტიპენდია 40 000 კანადური დოლარი, ორი წლის მანძილზე.

დაწვრილებით ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ საიტზე: http://funding.ibro.info/Pub/Pub_Main_Display.asp?LC_Docs_ID=3589

თსუ პროფესიული კავშირი აცხადებს 500 ლარიან პროექტებს.

პროექტი ითვალისწინებს ინდივიდუალური ან ჯგუფური საქმიანობის დაფინანსებას, რომელიც უკავშირდება სოციალურ საკითხებს, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო მიმართულებაში თანამშრომელთა საკვალიფიკაციო ან წამახალისებელ პროექტებს, კულტურულ ღონისძიებებს.

პროექტების წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 20 თებერვალი.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ [დანართის სახით](#).

მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების” პროგრამის სესფ-სა და უსტც-ის ერთობლივი მესამე კონკურსი - 2009

2008 წლის 19 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი და უკრაინის სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცენტრი აცხადებენ მესამე ერთობლივ კონკურსს “მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების” პროგრამის ფარგლებში.

კონკურსი მოიცავს სამ სფეროს:

1. ბიოტექნოლოგიები და მეცნიერებები სიცოცხლის შესახებ;
2. ენერგოეფექტურობა;
3. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლის და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არამომგებიან) იურიდიულ პირებში (ორგანიზაციებში) მომუშავე მეცნიერთა ჯგუფებს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა მოამზადონ და წარუდგინონ სესფ-ს არაუგვიანეს 2009 წლის 12 იანვრის 18.00 საათისა პროექტის წინასწარი განაცხადი, ე.წ. “მოკლე ფორმა” ქართულ ენაზე (სამი ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია ჩაწერილი - CD-R) და ინსტიტუტის ხელმძღვანელის, ან სამეცნიერო საბჭოს სარეკომენდაციო წერილი, მომავალი პროექტის აქტუალობის და მისი შემსრულებლების კვალიფიკაციის შესაბამისობის აღნიშვნით.

დეტალური ინფორმაცია, კონკურსის პირობებისა და წარსადგენი ფორმების შესახებ იხილეთ ფონდის ვებ-გვერდზე: <http://www.gnsf.ge/>

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში აცხადებს 2009 წლის კონკურსს ”სამეცნიერო-პოპულარული ლექციები საჯარო სკოლებისათვის”

განაცხადების ფონდში წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 9 იანვარი 18:00 საათი.

დეტალური ინფორმაცია, კონკურსის პირობებისა და წარსადგენი ფორმების შესახებ იხილეთ ფონდის ვებ-გვერდზე: <http://www.gnsf.ge/>

დენ დეივიდის პრიზი (Dan David Prize)

ყოველწლიურად დენ დეივიდის ორგანიზაცია, რომლის შტაბ-ბინა მდებარეობს ტელ-ავივის უნივერსიტეტში, აჯილდოვებს ინდივიდუალურ პირებს და ინსტიტუტებს სამი პრიზით თითოეული 1,000,000 აშშ დოლარის ოდენობით. ორგანიზატორები ირჩევენ სამ მიმართულებას სამი სფეროდან – წარსული, აწმყო და მომავალი.

პრიზის 10% ლაურეატებს გადაეცემა სტიპენდიის სახით, როგორც გამოჩენილ ახალგაზრდა მკვლევარებს, დოქტორანტებს და პოსტ-დოქტორულ სტუდენტებს .

დეტალური ინფორმაცია პრიზების და თემატიკების შესახებ იხილეთ ორგანიზაციის ვებ-გვერდზე: <http://www.dandavidprize.org/>

NATO-ს მიერ გამოცხადებულ სამეცნიერო კონკურსებში გამარჯვებულ საქართველოს მეცნიერთათვის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი აგრძელებს სახელმწიფო სტიპენდიების გაცემას

NATO-ს სამეცნიერო პროგრამებში ქართველ მეცნიერთა აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობისა და NATO-ს ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი გამარჯვებულ ქართველ მეცნიერებს სახელმწიფო სტიპენდიებს გადასცემს.

სახელმწიფო სტიპენდია მოიცავს NATO-ს პროგრამა "მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის" ფარგლებში გამოცხადებულ ორ ქვეპროექტს: "მეცნიერება მშვიდობისათვის"(SPF) და "ქსელური ინფრასტრუქტურის გრანტები"(NIG).

სახელმწიფო სტიპენდიის დაფინანსება ხორციელდება საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში და გათვალისწინებულია კონკურსში გამარჯვებულ პროექტში მონაწილე პირთათვის.

დეტალური ინფორმაცია, კონკურსის პირობებისა და წარსადგენი ფორმების შესახებ იხილეთ ფონდის ვებ-გვერდზე: <http://www.gnsf.ge/>

ინდივიდუალური სამოგზაურო საგრანტო კონკურსი 2009

2008 წლის 31 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი აცხადებს კონკურსს 2009 წელს დადგემილ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობის მისაღებად მოკლევადიან ინდივიდუალურ სამოგზაურო გრანტებზე.

ფონდში საკონკურსო მასალების წარდგენა შესაძლებელია კონკურსის გამოცხადების შემდეგ, 2008 წლის 10 ნოემბრიდან, სამუშაო დღეებში, 10:00-18:00 საათამდე.

დეტალური ინფორმაცია, კონკურსის პირობებისა და წარსადგენი ფორმების შესახებ იხილეთ ფონდის ვებ-გვერდზე: <http://www.gnsf.ge/>

2008 წლის ეროვნული პროგრამა ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერისათვის

აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი (CRDF) საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სესფ) და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ)

1. შესავალი

აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი (CRDF), საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სესფ) და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ) ხელმძღვანელობენ რა, 'აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდსა (სკგფ) და საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს (სესფ) შორის თანამშრომლობის შესახებ~ 2006 წლის 14 ნოემბრის შეთანხმებით, "2008 წლის ეროვნული პროგრამა ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერისათვის" ფარგლებში გამოყოფენ ერთწლიან გრანტებს კონკურსის საფუძველზე ახალგაზრდა მკვლევარებისათვის, რაც მოიცავს შემდეგს: ა) 2-3 თვიანი ვიზიტი აშშ მასპინძლის ლაბორატორიაში და ბ) 9-10 თვიანი სამეცნიერო-კვლევითი დახმარება და ინდივიდუალური ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერებს საშუალებას მისცემს კვალიფიკაცია აიმაღლონ და მიღებული ახალი ცოდნა გამოიყენონ მათ ლაბორატორიებში დაბრუნების შემდეგ. პროგრამის მიზნებია: ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერების დახმარება კარიერის საწყის ეტაპზე, საქართველოში მეცნიერისა და ინჟინრის საზოგადოებრივი სტატუსის ამაღლების ხელშეწყობა და აშშ-საქართველოს თანამშრომლობის გაძლიერება.

ღირსეული საპროექტო წინადადებების რაოდენობიდან გამომდინარე, CRDF, სესფ და სსგფ შეარჩევს დაახლოებით ათ საკონკურსო განაცხადს მაქსიმუმ 12-თვის ვადით გრანტის სახით დასაფინანსებლად, რომლის მაქსიმალური ოდენობა თითოეულისთვის არ აღემატება 11 500 აშშ დოლარს. მთლიანობაში პროგრამის დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა იქნება არაუმეტეს 116, 000 აშშ დოლარი.

CRDF-ის, სესფ-ის და სსგფ-ის საქმიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული ყველა სახის დახმარება გაეწევა განსაკუთრებული სამეცნიერო ღირსებების მქონე საპროექტო წინადადებებს, რომელთა განსაზღვრა მოხდება დამოუკიდებელი ექპერტიზით და წინამდებარე პროგრამის საჯაროდ ხელმისაწვდომი პირობების შესაბამისად.

საპროექტო წინადადებები უნდა გადაეგზავნოს CRDF-ს, სესფ-ს და სსგფ-ს არაუგვიანეს ხუთშაბათის, 2008 წლის 30 ოქტომბრის 18:00 საათისა, თბილისის დროით.

კონკურსის შედეგები გამოცხადებული იქნება სავარაუდოდ 2008 წლის 22 დეკემბერს. გრანტის გაცემა დაიწყება 2009 წლის 1 იანვრიდან.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე: <http://www.grdf.ge/>

USAID GEORGIA - ენერგეტიკის სექტორის შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტი (TECI)

ენერგეტიკის სექტორის სასტიპენდიო პროგრამა TECI ახორციელებს სასტიპენდიო პროგრამას კონკურსის სახით საქართველოში ენერგეტიკულ სექტორში უკვე დასაქმებულ ან ამ სექტორში დასაქმებით დაინტერესებულ პირთათვის. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს მოქალაქე სტუდენტებს და ენერგეტიკულ სექტორში (მათ შორის, სამთავრობო დაწესებულებებში, სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში მყოფ კომპანიებსა და არა სამთავრობო ორგანიზაციებში) დასაქმებულ პირებს.

განაცხადების ჩაბარების ბოლო ვადაა 2008 წლის 31 ოქტომბერი

დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ იხილეთ ვებ-გვერდზე: <http://www.aecai.ge/energy.html>

U.S. EMBASSY IN TBILISI, GEORGIA - 2009-2010 FULBRIGHT SCHOLAR PROGRAM

აშშ საელჩო თბილისში გვაცნობებს ფულბრაიტის ყოველწლიური კონკურსის შესახებ იმ ქართველი მეცნიერებისათვის, რომლებსაც 2009-2010 აკადემიური წლისათვის სურთ განაგრძონ კვლევა აშშ-ში.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ ფაილში ([Fulbright Scholar Program](#)), ან მიმართეთ ფულბრაიტის პროგრამის კოორდინატორს ქალბატონ მაგდა მალრაძეს:

ტელ: 995 32 277148

ელ-ფოსტა: magradzem@state.gov

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი აცხადებენ ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის ეროვნულ პროგრამას 2008

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი აცხადებენ ახალგაზრდა მეცნიერთა

მხარდაჭერის ეროვნულ პროგრამას 2008
საბუთების მიღების *ბოლო ვადაა 2008 წლის 30 ოქტომბერი, 18:00 სთ.*

დაწვრილებითი ინფორმაცია იხიეთ შემდეგ ფაილებში:

[for newspaper_NSS_2008_crdf_gnsf](#)

[GNSS II PA Final 090508](#)

[NSS announcement-Geo_Final](#)

ევროკომისიის 7 ჩარჩო პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულია ახალი კონკურსები

დეტალური ინფორმაცია კონკურსების შესახებ იხილეთ ვებ-გვერდზე:

<http://cordis.europa.eu/fp7/dc/index.cfm>

რუსთაველის ფონდი აცხადებს კონკურსს საკონფერენციო გრანტის მოსაპოვებლად

2008 წლის 22 ივლისს სსიპ ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი (რუსთაველი ფონდი) აცხადებს კონკურსს საქართველოში მოღვაწე მეცნიერთათვის საკონფერენციო გრანტის მოსაპოვებლად.

საკონფერენციო გრანტის კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში კონგრესების, სიმპოზიუმების, ლოკალური და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, ფორუმებისა და სემინარების ჩატარებას, მეცნიერთა შორის ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას, სამეცნიერო კვლევების განვითარებას, ქართველ მეცნიერთა შრომების პოპულარიზაციას საერთაშორისო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობა და გრანტის მიღება შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირებს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომლებსაც გააჩნიათ მაგისტრის, დოქტორანტის, დოქტორისა ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, აგრეთვე - აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირებს.

საბუთების მიღება იწარმოებს რუსთაველის ფონდში,
მისამართი: თბილისი, 0102, დ. უზნაძის 68, II სართული
საბუთების მიღების *ბოლო ვადაა 2008 წლის 18 აგვისტო.*

იხილეთ ვებ-გვერდზე: http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=6&id=73

რუსთაველის ფონდი აცხადებს ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის კონკურსს

2008 წლის 22 ივლისს სსიპ ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი (რუსთაველი ფონდი) აცხადებს ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის კონკურსს.

საგრანტო კონკურსის მიზანია საერთაშორისო საზაფხულო სკოლების ორგანიზება, არსებულ საზაფხულო სკოლათა ფუნქციონირების ხელშეწყობა, ქართული კულტურისა და მეცნიერების საერთაშორისო ასპარეზზე გატანა, ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგით დაინტერესებულ უცხოელ სტუდენტთა და მეცნიერთა მოზიდვა და კოორდინირება.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობა და გრანტის მიღება შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირებს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომლებსაც გააჩნიათ მაგისტრის, დოქტორანტის, დოქტორისა ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, აგრეთვე - აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირებს.

საბუთების მიღება იწარმოებს რუსთაველის ფონდში,
მისამართი: თბილისი, 0102, დ. უზნაძის 68, II სართული.
საბუთების მიღების *ბოლო ვადაა 2008 წლის 6 აგვისტო.*

იხილეთ ვებ-გვერდზე: http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=6&id=72

რუსთაველის ფონდი აცხადებს მოკლევადიანი ინდივიდუალური სახელმწიფო სამოგზაურო გრანტების კონკურსის შესამე ეტაპს

დაიწყო განაცხადების მიღება მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების კონკურსის შესამე ეტაპისთვის. აღნიშნული კონკურსის ფარგლებში დაფინანსდებიან მეცნიერები, რომლებიც აპირებენ მონაწილეობის მიღებას 2008 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დაგეგმილ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა: 2008 წლის 16 აგვისტო.

იხილეთ ვებ-გვერდზე: <http://www.rustaveli.org.ge/>

ERASMUS MUNDUS გარე-თანამშრომლობის ფანჯარა/ლოტიან/ აცხადებს კონკურსს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, კვლევითი (პოსტ-დოქტორალ) და პროფესორთა მობილობის გრანტების მოსაპოვებლად.

დეტალური ინფორმაცია კონკურსის შესახებ იხილეთ ვებ-გვერდზე:
<http://erasmusmundus5.teithe.gr/index.html>

კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი 2008 წლის 2 ივლისს აცხადებს ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსს:

ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსი მიზნად ისახავს ქვეყანაში მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას და მათი სამეცნიერო პროექტების განხორციელების ხელშეწყობას საგრანტო დაფინანსების გზით.

გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კონკურსის ადმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

2008 წელს საკონკურსოდ შემოთავაზებულია შემდეგი სამეცნიერო მიმართულებები:

1. ქართველოლოგიური მეცნიერებები; 2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები; 3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები; 4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; 5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო; 6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები; 7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები; 8. აგრარული მეცნიერებები.

კონკურსის პირობები:

1. ინდივიდუალური გრანტების კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს (მაგისტრს, დოქტორანტს, დოქტორს და მათთან გათანაბრებულ პირებს), რომლებიც ეწევიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

2. გრანტის მაძიებლის ასაკი ფონდში პროექტის წარდგენის პერიოდში უნდა იყოს 35 წლამდე.

3. კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ ბაკალავრს, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს.
4. პროექტები შესაძლოა განხორციელდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ორგანიზაციის ბაზაზე.
5. თითოეულ პიროვნებას შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი პროექტი ერთ საგრანტო კონკურსში.

დაფინანსება

1. თითოეული გრანტის მაქსიმალური ოდენობაა 15 000 ლარი წელიწადში. თანხის ოდენობა იცვლება პროექტის განხორციელების ვადებიდან გამომდინარე და გრანტის მაქსიმალური ოდენობაა: 3-თვიან პროექტებზე - 5 000 ლარი; 6-თვიან პროექტებზე - 9 000 ლარი; 9-თვიან პროექტებზე - 12 000 ლარი; 12-თვიან პროექტებზე – 15 000 ლარი. 2. კონკურსის ფარგლებში ფინანსდება:

- ა) მეცნიერის ანაზღაურება (თანხის ოდენობა არაა შეზღუდული, თუმცა ბიუჯეტის სხვა მუხლებთან ერთად უნდა შეესაბამებოდეს პროექტის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას);
- ბ) კაპიტალური ხარჯები (მოწყობილობა, სამუშაო ავეჯი, კომპიუტერი, ასლის გადამღები და სხვა);
- გ) მივლინება (ქვეყნის შიგნით და გარეთ);
- დ) სხვა საქონელი და მომსახურება (მათ შორის: საკანცელარიო, რეაქტივები და სხვ);
- ე) ზედნადები ხარჯები.

საკონკურსო განაცხადის წარდგენის პირობები:

1. ეროვნულ სამეცნიერო ფონდში საკონკურსო განაცხადის წარდგენა უნდა მოხდეს გამოცხადებული ვადების დაცვით. პროექტების მიღების საბოლოო ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი განაცხადები კონკურსში მონაწილეობისათვის აღარ დაიშვებიან;
2. 2008 წლის კონკურსში პროექტის რეგისტრაცია შესაძლებელია დისტანციურ (On-line) რეჟიმშიც.
3. დისტანციური რეგისტრაციის შემთხვევაში პროექტის ავტორებს საშუალება ექნებათ საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოუსვლელად გაიარონ წინასწარი რეგისტრაცია საკონკურსოდ და ამასთანავე გამარტივებული წესით გაიარონ რეგისტრაცია ფონდში საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენისას.
4. დისტანციურ რეჟიმში რეგისტრაციისას ივსება შესაბამისი ფორმა ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებ-გვერდზე (www.gnsf.ge). იქვეა განთავსებული შევსების ინსტრუქცია (დისტანციური რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება მიმდინარე წლის 15 ივლისიდან) .
5. წინასწარი დისტანციური რეგისტრაციის შემდეგ განაცხადების მიღების ბოლო ვადის ამოწურვამდე, პროექტის ავტორებმა ეროვნულ სამეცნიერო ფონდში საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ნაბეჭდი და ელექტრონული სახით.
6. ფონდში საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად. განაცხადის ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს კომპაქტ-დისკზე (CD-R);
7. კონკურსში მონაწილეობისათვის გრანტის მამიებელმა უნდა წარმოადგინოს: ა) შევსებული განაცხადის ფორმა; ბ) საპროექტო წინადადება; გ) პროექტის ბიუჯეტი; დ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი; ე) პროფესიული ავტობიოგრაფია (CV) (არაუმეტეს 2 გვერდისა); ვ) პროექტის რეზიუმე ინგლისურ ენაზე (არაუმეტეს 2 გვერდისა); ზ) გრანტის მამიებლის პირადობის მოწმობის სრული ასლი; თ) გრანტის მამიებლის მუშაობის და/ან სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი; ი) იმ ორგანიზაციის თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი, სადაც განხორციელდება პროექტი (ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით) (იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ხორციელდება ორგანიზაციის ბაზაზე); კ) თანადაფინანსების შემთხვევაში, მისი დამადასტურებელი დოკუმენტი.
8. დეტალური ინფორმაცია კონკურსის შესახებ და საკონკურსო დოკუმენტაციის ნიმუშები განთავსებული იქნება კონკურსის პროგრამა და პირობებში და ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებ-გვერდზე.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: <http://gnsf.ge/fulltext.asp?id=298&idcategory=1>

განაცხადების ფონდში წარდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 15 სექტემბერი 18:00 საათი.

ბიზნეს პარტნიორობის საგრანტო კონკურსი

2008 წლის 18 ივნისს, აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი (CRDF), საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სესფ) და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ) აცხადებს ბიზნეს პარტნიორობის საგრანტო კონკურსს.

პროგრამის მიზანია სამეწარმეო იურიდიულ პირებსა და მეცნიერთა ჯგუფებს შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ხელშეწყობა, ქვეყნის სინოვაციო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა და მეცნიერთა მჭიდრო კავშირის დამყარება წარმოებასთან.

პროგრამის ხანგრძლივობაა 12 თვე, ხოლო თითოეული გრანტის ოდენობა - არაუმეტეს 40 000 ლარისა. სამეწარმეო პირის იურიდიული პირის მონაწილეობის სავალდებულო წილი ინდივიდუალურ პროექტში შეადგენს გრანტის თანხის მინიმუმ 10 %-ს. ეს თანხა მთლიანად გამოყენებულ უნდა იქნეს მეცნიერთა (გრანტის მიმღებთა) ჯგუფის ხარჯებისათვის.

კონკურსთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია განთავსებულია სესფ-ის და სსგფ-ს ვებ-გვერდზე: <http://www.gnsf.ge/> და <http://www.grdf.ge/>

პროექტების სსგფ-ში წარდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 15 აგვისტო.

თემატური კონკურსი "ილია და გლობალიზაცია"

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი, (რუსთაველის ფონდი) აცხადებს თემატურ კონკურსს "ილია და გლობალიზაცია".

კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო პროექტების თემატური სპექტრი შეიძლება მოიცავდეს სამეცნიერო კვლევას ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ, მათ შორის ილია ჭავჭავაძის პოეზიის, პროზის, პუბლიცისტიკის, თარგმანების, საზოგადო და მეცენატური საქმიანობის კვლევას და ა.შ.

თემატური კონკურსის "ილია და გლობალიზაცია" მიზანია ილია ჭავჭავაძის ნაშრომთა პოპულარიზაცია, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ახლებურად გააზრება თანამედროვე გლობალურ ეპოქაში, ქართული კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერული კვლევის ხელშეწყობა, ინტერდისციპლინარული კვლევის განვითარება.

დაფინანსება განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებით.

საბუთების მიღება იწარმოებს რუსთაველის ფონდში.

მისამართი: დ. უზნაძის 68, 0102 თბილისი.

საკონკურსო საბუთები მიიღება 2008 წლის 29 აპრილიდან 2008 წლის 16 ივნისის 18:00 საათამდე.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2008 წლის სექტემბერში.

გამარჯვებული პროექტების დაფინანსება დაიწყება 2008 წლის ოქტომბრიდან.

ვრცლად კონკურსის პირობები, სააპლიკაციო ფორმები და შევსების

ინსტრუქცია: http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=grants&page=detals&grant_id=11&id=10

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი 2008

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი 2008 წლის 8 აპრილს აცხადებს სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსს. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის მიზანია ღიად გამოცხადებული კონკურსის გზით, დამოუკიდებელ ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტთა შეფასების საფუძველზე, შეარჩიოს და დააფინანსოს სამეცნიერო პროექტები და, ამით, წარმოაჩინოს და გააძლიეროს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი.

2008 წელს საკონკურსოდ შემოთავაზებულია შემდეგი სამეცნიერო მიმართულებები:

1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები; 2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; 3. მათემატიკა, მექანიკა 4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; 5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო; 6. სამედიცინო მეცნიერებები; 7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები; 8. აგრარული მეცნიერებები

ღია საკონსულტაციო სემინარები

საკონკურსო პირობების გაცნობისა და კონსულტაციების მიზნით საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ჩაატარებს საკონსულტაციო სემინარებს თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში.

საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს 2008 წლის 1 მაისიდან 27 მაისის ჩათვლით 18:00 საათამდე. დისტანციურად (ელექტრონულად) დარეგისტრირებული პროექტების საკონკურსო დოკუმენტაციის ფონდში წარმოდგენის ვადებია 2008 წლის 28 მაისიდან 30 მაისის 18:00 საათის ჩათვლით.

დეტალური ინფორმაცია კონკურსის შესახებ იხილეთ სესფ-ის ვებ-გვერდზე: <http://www.gnsf.ge/>

2-კვირიანი კვლევითი გრანტი თსუ პროფესორებისათვის კა'ფოსკარის უნივერსიტეტში (ვენეცია, იტალია)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს საბუთების მიღებას ჰუმანიტარული, ეკონომიკისა და ბიზნესის, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტების პროფესორებისათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან ორკვირიანი კვლევითი მივლინებით კა'ფოსკარის უნივერსიტეტში.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი პირობაა იტალიური ენის ცოდნა (დონე - საშუალო) კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- ბიოგრაფია/CV (იტალიურ და ქართულ ენებზე)
- ერთი სარეკომენდაციო წერილი
- იმ კვლევის მოკლე მიმოხილვა, რომელზეც იმუშავებთ კა'ფოსკარის უნივერსიტეტში (ქართულ და იტალიურ ენებზე)
(ინტერვალი – 1,5; ფონტი – Time New Roman/AcadNusx; მოცულობა - მაქსიმუმ 3 გვერდი)
- ცნობა თსუ ადამიანური რესურსების დეპარტამენტიდან (ქართულ ენაზე)

ექსპერტთა ჯგუფი სააპლიკაციო დოკუმენტაციის საფუძველზე შეარჩევს 2 კანდიდატს, რომლებიც კა'ფოსკარის უნივერსიტეტში გაემგზავრებიან 2008/9 სასწავლო წლის განმავლობაში. მიმღები უნივერსიტეტი ქართველ პროფესორს უზრუნველყოფს საცხოვრებელი ადგილით და უნივერსიტეტში სამუშაო კუთხით:

!!! მომსახურების პაკეტში არ შედის მგ ზავრობის ღირებულება და ჯანმრთელობის დაზღვევა.

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 23. 05. 2008წ.;

განაცხადები ჩააბარეთ: თსუ, I კორპუსი, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი

მიმღები უნივერსიტეტის ვებგვერდია: <http://www.unive.it/>

კონკურსი ვილნიუსის უნივერსიტეტში ერთსემესტრიანი სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად!!!!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს ჰუმანიტარული, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების, ბიზნესისა და ეკონომიკის და იურიდიული ფაკულტეტების ბაკალავრიატის მე-2 და მე-3 სასწავლო წლების სტუდენტებისათვის ვილნიუსის უნივერსიტეტში ერთი სემესტრით სწავლის უფლების მოსაპოვებლად.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი პირობაა ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- ბიოგრაფია/CV (ინგლისურ ენაზე)
- აკადემიური მოსწრების ფურცლის ასლი (ქართულ ენაზე, შესაბამისი დეკანატის მიერ ბეჭდიტა და ხელმოწერით დამოწმებული)
- ერთი სარეკომენდაციო წერილი (ქართულ ენაზე)
- მოტივაციის წერილი ინგლისურ ენაზე (ინტერვალი – 1,5; ფონტი – Times New Roman; მოცულობა - მაქსიმუმ 2 გვერდი)
- პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ
- ერთი ფერადი ფოტო-სურათი ზომით 3/4
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი ცნობა

დაინტერესებულმა კანდიდატებმა სპეციალობისა და საგნების ასარჩევად იხილეთ შემდეგი ვებგვერდი: http://www.vu.lt/en/admission/nondegree_studies/ და http://www.vu.lt/en/international/general_info/

საკონკურსო კომისია სააპლიკაციო დოკუმენტაციისა და ზეპირი გასაუბრების საფუძველზე შეარჩევს სამ კანდიდატს, რომელიც ვილნიუსის უნივერსიტეტში გაემგზავრება 2008/9 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრზე (სექტემბერი 2008-იანვარი 2009).

კონკურსში გამარჯვებულ 3 სტუდენტს ვილნიუსის უნივერსიტეტი სთავაზობს მომსახურების შემდეგ პაკეტს:

- ოთახი საუნივერსიტეტო საერთო საცხოვრებელში
- ყოველთვიური სტიპენდია
- სწავლის გადასახადისაგან გათავისუფლება

!!! მომსახურების პაკეტში არ შედის მგზავრობის ღირებულება და ჯანმრთელობის დაზღვევა.

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 16. 05 2008 წელი;

განაცხადები ჩააბარეთ: ანი ჭელიშვილს, თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (ოთახი 222; ტელ: 225679)

გასაუბრების სავარაუდო თარიღი: 2008 წლის მაისის მეოთხე კვირა. დაგვიანებული ან/და არასრული აპლიკაციები არ მიიღება

კონკურსი ტარტუს უნივერსიტეტში (ესტონეთი) ერთსემესტრიანი სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს ჰუმანიტარული, იურიდიული, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ბაკალავრიატის II და III სასწავლო წლის სტუდენტებისათვის ტარტუს

უნივერსიტეტში (ტარტუ, ესტონეთი <http://www.ut.ee>) გაცვლითი სტუდენტის სტატუსით ერთი სემესტრით სწავლის უფლების მოსაპოვებლად (2008/9 წლის შემოდგომის სემესტრი).

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი პირობაა ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1. ბიოგრაფია CV (ქართულ და ინგლისურ ენებზე)
2. აკადემიური მოსწრების ფურცელი (ქართულ ენაზე, დეკანატის ბეჭდითა და შესაბამისი ხელმოწერით დამოწმებული)
3. ორი რეკომენდაცია (ქართულ ენაზე)
4. მოტივაციის წერილი (ქართულ და ინგლისურ ენებზე)
5. ერთი ფერადი ფოტო–სურათი ზომით 3/4
6. პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი
7. ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ
8. სასურველია ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი

ინგლისურენოვანი საგნები ჩამონათვალი იხილეთ ვებ–გვერდზე : <http://www.ut.ee/292870>
ზოგადი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ–გვერდი: <http://www.ut.ee/studentoffice> და <http://www.kyla.ee/eng/index.php>

კონკურსში გამარჯვებულებს ტარტუს უნივერსიტეტი სთავაზობს მომსახურების შემდეგ პაკეტს :
– ოთახი საუნივერსიტეტო საერთო საცხოვრებელში
– სტიპენდია თვეში 160 ევროს ოდენობით
– სწავლების გადასახადისაგან გათავისუფლება

მომსახურების პაკეტში არ შედის მგზავრობის ღირებულება და ჯანმრთელობის დაზღვევა!!!

განაცხადების მიღების ბოლო ვადა : 23.04.2008; დაგვიანებული ან/და არასრული სააპლიკაციო პაკეტები არ მიიღება!!

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და საბუთების ჩასაბარებლად მიმართეთ ანი ჭელიშვილს თსუ–ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში; თსუ პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 222; ტელ 225679

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია 2008 წლის 31 მარტს აცხადებს კონკურსს ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ვეკუასა და ივანე ბერიტაშვილის სტიპენდიის მოსაპოვებლად.

კონკურსის მიზანია ღიად გამოცხადებული კონკურსის გზით, იმ ახალგაზრდა მეცნიერთა (მეცნიერ-თანამშრომლები და დოქტორანტები) წახალისება, რომლებიც მუშაობენ ან/და სწავლობენ საქართველოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში და თავს იჩენენ აქტიური სამეცნიერო საქმიანობით შემდეგ მიმართულებებში:

ა) ილია ვეკუას სტიპენდიის მოსაპოვებლად - მათემატიკის, მექანიკის და საინფორმაციო ტექნოლოგიების განხრით;

ბ) ივანე ბერიტაშვილის სტიპენდიის მოსაპოვებლად - სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებების განხრით ;

სტიპენდიის დაფინანსება ხორციელდება ფონდის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

კონკურსის პირობები:

1. საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სტიპენდია გაიცემა ყოველთვიურად 10 ახალგაზრდა მეცნიერზე ერთი წლის ვადით.
2. სტიპენდიის ოდენობაა თვეში 200 ლარი.

პრეტენდენტისადმი წაყენებული მოთხოვნები:

1. უნდა იყოს 35 წლამდე ასაკის უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე;
2. უნდა იყოს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის ან/და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში მოქმედი მეცნიერ-თანამშრომელი ან/და დოქტორანტი;
3. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული უნდა ქონდეს არანაკლებ ერთი ნაშრომი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში:

ა) ილია ვეკუას სტიპენდიის მოსაპოვებლად - მათემატიკის, მექანიკის და საინფორმაციო ტექნოლოგიების განხრით;

ბ) ივანე ბერიტაშვილის სტიპენდიის მოსაპოვებლად - სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებების განხრით;

საკონკურსო დოკუმენტაციის ფონდში წარმოდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 15 მაისი 18:00 საათი.

სტიპენდიების გაცემა დაიწყება 2009 წლის 1 იანვრიდან.

დეტალური ინფორმაცია და განაცხადის ფორმები იხილეთ ფონდის ვებ გვერდზე:

<http://www.gnsf.ge/>

მისამართი: დ. უზნაძის ქ. #68, IV სართული

ტელ: 95 21 66;

ფაქსი: 95 62 05;

ელ-ფოსტა: office@gnsf.ge

საკონტაქტო პირი: ეკატერინე ბუთლიაშვილი (ადმინისტრაციული ურუნველყოფის კოორდინატორი)

ტემპუსი აცხადებს რიგით მეოთხე კონკურსს – "მოდერნიზაცია უმაღლეს განათლებაში".

წინადადებების ელექტრონული ვერსიების წარდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 28 აპრილი.

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე:

http://ec.europa.eu/education/programmes/tempus/index_en.html

საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (GRDF) აცხადებს 2008 წლის საგრანტო კონკურსს ბიოსამედიცინო კვლევების მიმართულებით. კონკურსის პრიორიტეტული მიზნებია:

- მაღალი ხარისხის, ინოვაციური, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა, დაფუძნებული ამერიკულ და საერთაშორისო ერთობლივ კვლევებზე.
- მეცნიერები, საერთაშორისო მასშტაბით, უზრუნველყოს ემიგრაციის ალტერნატივით; პროგრამა ითვალისწინებს ამერიკული და საერთაშორისო ერთობლივი კვლევითი ჯგუფების 2 წლიან ფინანსურ მხარდაჭერას.

ორწლიანი გრანტის მაქსიმალური ბიუჯეტი შეადგენს 90000\$.

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა: 2008 წლის 25 აპრილი.

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ფონდის ვებ-გვერდზე: <http://www.grdf.ge/>

გრძელდება ევროკომისიის პროგრამის მე-3 კონკურსი

მიმდინარეობს ევროკომისიის მე-7 ჩარჩო პროგრამის მე-3 კონკურსი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში - FP7-ICT-2007-3.

კონკურსში პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 8 აპრილი. დაწვრილებით ინფორმაციას გაეცანით საიტზე:

http://cordis.europa.eu/fp7/dc/index.cfm?fuseaction=UserSite.CooperationDetailsCallPage&call_id=109

ევროკავშირი აცხადებს კონკურსს მე-7 ჩარჩო პროგრამაში

ევროკომისიის მე-7 ჩარჩო პროგრამის მარი კიურის პროგრამის ფარგლებში ამჟამად მიმდინარეობს კონკურსი - Marie Curie International Research Staff Exchange Scheme FP7-PEOPLE-IRSES-2008. აღნიშნული პროგრამა საშუალებას იძლევა განხორციელდეს ევროპის უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების თანამშრომლობა, ურთიერთგაცვლითი ვიზიტები. კონკურსში მონაწილეობისთვის პროექტის წარსადგენად საჭიროა მინიმუმ 2 ევროპული ორგანიზაციის თანამშრომლობა. პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 28 მარტი. დაწვრილებით ინფორმაციას გაეცანით საიტზე:

http://cordis.europa.eu/fp7/dc/index.cfm?fuseaction=UserSite.PeopleDetailsCallPage&call_id=98

NATO Science for Peace and Security Programme (SPS) Special call for applications for Advanced Research Workshops

ნატოს SPS პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს საგრანტო კონკურსი Advanced Research Workshops (ARW).

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა: 2008 წლის 30 აპრილი.

დაწვრილებით ინფორმაციას გაეცანით საიტზე: http://www.nato.int/science/nato_funded_activities/special-call01-07.htm

NATO-ს საგრანტო პროგრამების ჩარჩოებში განაცხადების წარდგენის ვადებია:

1 ივნისი

1 ნოემბერი

დაწვრილებით ინფორმაციას გაეცანით საიტზე: http://www.nato.int/science/nato_funded_activities/deadlines.htm

საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ნაციონალური ცენტრი აცხადებს კონკურსს პოსტდოქტორულ კვლევით პოზიციებზე.

დაწვრილებით ინფორმაციას გაეცანით საიტზე: <https://www2.cnrs.fr/DRH/post-docs08/?pid=8&lang=en>